



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 5 - 11 თებერვალი
ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 4-დან 11 თებერვლის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 9 ფაქტია მოკვლეული. ამ 9 ფაქტიდან 2 ნეგატიური გაშუქების მაგალითია, 3 პოზიტიურის, ხოლო 4 ნეიტრალური გაშუქების.

მოკვლეული 9 ფაქტიდან 7 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა და 2 რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 7 ფაქტი ასე განაწილდა: 1 ნეგატიური, 3 პოზიტიური და 3 ნეიტრალური გაშუქება. რელიგიური გაშუქების 2 ფაქტიდან ერთი ნეგატიური და ერთი ნეიტრალური ხასიათისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა ხუთმა გაზეთმა 7 სტატიაში. ამ 7 სტატიაში მოკვლეული იქნა 7 ფაქტი, რომელთაგან ერთი ნეგატიური შინაარსისა იყო, ორი პოზიტიური და ოთხი ნეიტრალური. უმცირესობები გააშუქა ერთმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამომშვებები) მოკვლეული იქნა 2 ფაქტი, რომელთაგან 1 პოზიტიური და 1 ნეიტრალური შინაარსისა იყო.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (5 - 11 თებერვალი) მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთ ტელევიზიაში მხოლოდ ერთი სიუჟეტი ეხებოდა რელიგიურ უმცირესობებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 16 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდებთან შედარებით გაზეთებში პროფესიული სტანდარტის დარღვევების ფაქტები კლებულობს. საანალიზო პერიოდში უმცირესობების დისკრიმინაციული გაშუქების ფაქტი მოკვლეული იქნა მხოლოდ გაზეთ „ალიაში“.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

დისკრიმინაცია ეთნიკური/რელიგიური ნიშნით

1. 8 თებერვალს „რუსთვი 2“-ის 15:00 საათიან „კურიერმა“ გააშუქა კონტრაბანდული საქონლის შემოტანაზე სომხეთის მოქალაქის დაკავების ფაქტი:

„ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტამენტის თანამშრომლებმა კონტრაბანდული ოქროს პარტია და გადამზიდავი დააკავეს. კონტრაბანდა მალულად სომხეთიდან შემოდიოდა. დავით ქაშიაშვილი გვერთვება პირადაპირ ეთერში. დავით როგორ შემოჰქონდათ კონტრაბანდა საზღვარზე?

დავით ქაშიაშვილი (ჟურნალისტი) როგორც შენ თქვი ირაკლი, სომხეთის მოქალაქე ქალბატონი გრეტა სუკიანიანს ძვირფასი ნივთები სადახლოს საბაჟოს გავლით გადმოჰქონდა ფარულად. გამოძიების ინფორმაციით, ძვირფასეულობა სომეხი ეროვნების ქალბატონს აზღუდში ჰქონდა დამალული. ქალბატონმა ეს ნივთები საბაჟო წესების გვერდის ავლით შემოიტანა საზღვარზე და საზღვარზე დააკავეს სწორედ ეს ქალბატონი, ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

გ. სუკიანიანი (დაკავებული ქალბატონი): მოვლიდი საქართველოში. შევედი საბაჟოზე, თან მქონდა ძვირფასი ნივთები. მე დეკლარაცია არ შევაკვე. დაიწყო შემოწმება და აღმომიჩინეს ეს ოქრო.

დავით ქაშიაშვილი (ჟურნალისტი): დაახლოებით 40 ათასი ლარის ოდენობის ძვირფასი ნივთები, როგორც უკვე მოისმინეთ საზღვარზე კონტროლის გვერდით ავლით შემოიტანა სომეხი ეროვნების ქალბატონმა. ქართული კანონმდებლობით კი გრეტა სუკიანიანი გასამართლდება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით – კონტრაბანდული ტვირთის შემოტანა, რომელიც ითვალისწინებს 5 –დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.“

ეს სიუჟეტი ნეიტრალურ და არადისკრიმინაციულ გაშუქებად ჩაითვლებოდა, სიუჟეტის ავტორი დანაშაულში ეჭვმიტანილის მოხსენიებისას მხოლოდ „სომხეთის მოქალაქით“ რომ შემოფარგლულიყო. მაგრამ, სიუჟეტში ამ ეჭვმიტანილის მოხსენიება ეთნიკური ნიშნით უკვე ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციული გაშუქების მაგალითია. ეჭვმიტანილი ორჯერ იქნა მოხსენიებული როგორც „სომეხი ეროვნების ქალბატონი“ მაშინ, როდესაც მისი ეთნიკური წარმომავლობა არანაირ საზოგადოებრივი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, ასე მოხსენიებით ხდებოდა სტერეოტიპიზება იმისა, რომ ყველა სომეხი კონტრაბანდისტია. ასეთი გაშუქება შეიძლება შეურაცხმყოფელად აღიქვას საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა.

2. 9-10 თებერვლის გაზეთში „ალია“ №14 (2451) დაიბეჭდა სტატია, სათაურით „მიმა-ბასმა შაჰ-ბასი მოგვანატრა“, რომელშიც ვკითხულობთ: „მიმა სააკაშვილმა ბათუმში მეჩეთი ააშენა, რომელსაც სახელად სასტუმრო დაარქვეს – „მერიოტი“. ბათუმსა და აჭარაზე თურქეთს ისედაც აქვს პრეტენზია და შეიძლება იქ თურქული არქიტექტურის გაძლიერება?“. ეს სიტყვები, მართალია, ლეიბორისტული პარტიის ლიდერს, შალვა ნათელაშვილს ეკუთვნის, მაგრამ გაზეთის რედაქციას არაფერი უღონია, რომ სტატიაში გამოენახტა საკუთარი პოზიცია ასეთი ქსენოფობიური განწყობის და მაჰმადიანური რელიგიის შეურაცხმყოფის წინააღმდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ სტატიის ავტორი და შესაბამისად, გაზეთის რედაქციაც იზიარებენ ამ მოსაზრებას. ეს საქართველოში მცხოვრები მუსლიმებისთვის შეურაცხმყოფელი განცხადებაა.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

3. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების პოზიტიური მაგალითია გაზეთ „ჯორჯინ ტაიმსში“ (№05 (571); 11-18 თებერვალი, 2010) დაბეჭდილი სტატია „დასავლეთში ვერ ხვდებიან, რომ მართლმადიდებლობა ქართველებისთვის არ არის კონფესია-ერთი, მრავალთა შორის“:

„ქართველთა ისტორიული ტოლერანტობის შესახებ საუბრისას ყველაზე ხშირად იმაზე მიუთითებენ, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა ებრაელთა დარბევები და მკვლელობები. არადა, ეს საკითხის უკიდურესი გამარტივებაა. საქართველოში ებრაელები ქართველებთან თანაბრად სარგებლობდნენ პრივილეგიებით და რაც ებრაელისთვის, უბრალოდ, „ყოფნა-არყოფნის“ საკითხზე მნიშვნელოვანია, დაცული იყო მათი საკუთრება (ჩვენმა ხელისუფლებამ „ტელეიმედის“ მაგალითზე ეს ტრადიცია ფეხქვეშ გაიღო); მკვლევარები ხშირად უჩიოდნენ საქართველოში ებრაელთა შესახებ დოკუმენტების სიმწირეს, რაც სწორედ იმით აიხსნება, რომ არ არსებობდა ცალკე რეგულაციები ებრაელებისთვის; ისინი ყველა იმ უფლებით სარგებლობდნენ, რომლითაც დანარჩენები“.

4. პოზიტიურად გამოუქდა ეთნიკური უმცირესობა 8 თებერვალს გაზეთში „მთელი კვირა“ №031 (6257). სტატიაში „ბინდისფერია სოფელი“ ვკითხულობთ: „იმისათვის, რომ აფხაზებმა და ქართველებმა გავიმარჯვოთ, საჭიროა აფხაზებმა და ქართველებმა ერთად შევქმნათ ჩვენი ქართულ-აფხაზური ერთობა. ჩვენი ძალა ერთობაშია და ხელჩაკიდებულებმა გადავირჩინოთ თავი. ეს უნდა გავაცნობიეროთ ორივემ ერთად, აფხაზებმაც და ქართველებმაც, ქართველები აფხაზების გარეშე და აფხაზები ქართველების გარეშე ვერ გადავრჩებით“.

5. პოზიტიურად გააშუქა ეთნიკური უმცირესობა 11 თებერვალს „რუსთავი 2“-მა 21:00 საათიან „კურიერში“:

„საქართველოს საპატრულო პოლიციაში 42 თანამშრომელი მსახურობს რომლებმაც სპეციალური გადამზადება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ცენტრში გაიარეს. ცენტრი რომელიც უკვე სამი წელია არსებობს სპეციალურად ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენის შესასწავლად შეიქმნა. კურსდამთავრებულებს დღეს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებების შესახებ ლექცია წაუკითხა.

არტამ მაკარიანი 25 იანვარს დროებით თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ახალციხელი დეტექტივ-გამომძიებელი პოლიციის აკადემიაში თითქმის ერთი თვეა ქართულ ენას სწავლობს. ამბობს, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა განსაკუთრებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სჭირდება.

არტამ მაკარიანი (ახალციხის პოლიციის დეტექტივ გამომძიებელი): ვცხოვრობ საქართველოში ქართული ენა აუცილებლად უნდა ვიცოდე, თანაც ვმუშაობ და სამსახურში მჭირდება, რომ ოქმი შევადგინო და თვითონ მეც მინდა რომ ქართული ენა კარგად ვიცოდე.

უკვე სამი წელია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს პოლიციის აკადემიაში ქართული ენის შესწავლა შეუძლიათ. მსგავს ტრენინგს 7 აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიციელი გადის მათი სწავლების მეთოდებს სახალხო დამცველი გაეცნო.

თინათინ მოსიაშვილი (ქართული ენის პედაგოგი): ბოლოს შედეგი უნდა იყოს ის რომ მათ შეეძლოს ძირითადი დოკუმენტების წარმოება სახელმწიფო ენაზე.”

ომბუდსმენმა პოლიციის აკადემიაში ლექციები წაიკითხა, შემწყნარებლობა და ეროვნული ინტეგრაცია პოლიციის თანამშრომლების მიერ ეთნიკის ნორმების დაცვა – ეს ის თემებია რომლებსაც რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმი ითვალისწინებს.

გიორგი ტულუში (სახალხო დამცველი): ”ძირითადი ამოცანა ამ მემორანდუმის სწორედ იყო ის რომ ეთნიკური უმცირესობები უკეთესად იყვნენ ინფორმირებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან მთელი რიგი მოვლენების შესახებ და გარდა ამისა ეთნიკურ უმცირესობებს სამ თვეში ერთხელ მიეწოდოთ კონკრეტული ინფორმაცია თუ რა კეთდება სამინისტროს მხრიდან”.

ზატია დეკანოძე (პოლიციის აკადემიის რექტორი): თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენთან ფუნქციონირებს ქართული ენის ცენტრი, რომელიც მოქმედია და ამზადებს მოქმედ პოლიციელებს და ასევე იმ კურსანტებს, რომლებიც ასევე მეტ-ნაკლებად ვერ ფლობენ ქართულ ენას.

უახლოეს მომავალში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის თემაზე სპეციალური კურსი მომზადდება, რომელშიც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას.

6. ეთნიკური უმცირესობის ნეიტრალური გაშუქების მაგალითია „ჯორჯიან ტაიმის“ (№05 (571); 11-18 თებერვალი, 2010) სტატია - არნოლდ სტეფანიანი: „ჩემზე ზეწოლა ეთნიკური ნიშნით არ ხდება და მე ამით სპეკულირებას არ ვაპირებ. მაგრამ ფაქტია, ზეწოლა ხდება ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო“.

7. ასევე ნეიტრალურად აშუქებს ეთნიკურ უმცირესობებს გაზეთი „კვირის რეზონანსი“ №030 (6258); 7-13 თებერვალი, 2010) სტატიში „სოხუმში იციან, რომ აფხაზეთის დასავლეთთან ინტეგრაციის გზა საქართველოზე გადის“.

8. ეთნიკური უმცირესობები ნეიტრალურად არის გაშუქებული გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ სტატიაში „მასმედიის პრობლემები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში“ (№03 (271); 8 თებერვალი; 2010).

9. რელიგიური უმცირესობის ნეიტრალური გაშუქების მაგალითს ვხვდებით 11-18 თებერვლის გაზეთში „ჯორჯიან ტაიმის“ №05 (571) სტატიაში „სომხები ჯაფაზეთში ეპარქიის შექმნას ითხოვენ“.



თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.